რომაული სამართლის ფილოსოფია

ლეონიდ-ლუკა კაზანჯი

რომაული სამართალი მსოფლიო იურისპრუდენციის მშობელი დედაა, რომელმაც უძველესი ეტრუსკული სამართლებრივი იდეალები და ელინური ფილოსოფია ერთიან აზრობრივ აბსოლუტად შეკრა. რომაელებმა განახორციელეს რევოლუციური გარდაქმნები საკაცობრიო სამართალში, კერძოდ შექმნეს ცივილისტიკა ანუ სამოქალაქო სამართალი რომმა გადო ძალიან ძლიერი იდეური ხიდი დასავლურ ფილოსოფიასა და აღმოსავლურ სოფისტურ კულტურას შორის. რომაული სამართალი გახლდათ ერთგვარი სისტემატიზატორი ევროპეიდური სულიერი ტრადიციებისა და აღმოსავლური დეტერმინიზმისა. რომაელებმა მოახერხეს მძლავრი იურიდიული სტრატეგიის ჩამოყალიბება და ამ გზით მსოფლიო ხალხთა ცივილიზებულობის ახალ სულიერ-სხეულებრივ საფეხურზე ამაღლება. რომაელებმა ჭეშმარიტ რელიგიად სწორედ იურისპრუდენცია აქციეს, რომელიც საზრდოობდა მატერიალისტური აზრობრივი რეალიებითა და იდიოგრაფიული ალტრუისტული ელემენტებით. რომაულმა სამართალმა შექმნა ე.წ. გენეკრატიული დიქტატისა და რესპუბლიკური იდეალების კორელირებული ექსტრაპოლაციის კონცეფცია, რომელმაც გააერთიანა ემპირიული ფაქტოლოგია და საკრალურ კონტენპლაციურ აზრობრივ მოცემულობათა სილოგური უნივერსუმების ამფონერსული მთლიანობა. თავდაპირველად კერძოდ, ძვ. წ. 450-300 წლებში სამართლის აღსრულების პრეროგატივა მხოლოდ ქურუმებს ჰქონდათ. სენეკას თქმით, ძვ.წ. 450 წლის „12 ტაბულის კანონები“, ერთ-ერთი უძველესი რომაელ ქურუმთა კოლეგიის - არვალელ ძმათა მიერ შეიქმნა, პოლიბიოსის თქმით კი, იგი რომის მე-2 რექსის (მეფის) - ნუმა პომპილიუსის მართვის ხელოვნებას ასახავდა. ჩემი აზრით, ე.წ. „12 ტაბულის კანონები“ - შექმნეს ეტრუსკმა ქურუმებმა, ხოლო შემდეგ განავითარეს რომაელებმა. რომში მოხდა კიდევ ერთი რევოლოციური გარდატეხა - ძვ.წ. 300 წელს, ქურუმთა კლასს გამოეყო პროფესიონალ იურისტთა ფენა, რომელმაც საკრალური სამართალი - us sacrum შეცვალა ფაქტოლოგიურ ენაზე ბაზისზე დაფუძნებული ცივილისტიკით - us civile. ჩემი სუბიექტური შეხედულებით რომაულ სამართალში აღნიშნულმა ცვლილებამ სათავე დაუდო მძლავრი ნორმატიული მართლწესრიგიე შექმნას, რაც იქცა რესპუბლიკური სოციალურ-პოლიტიკური წყობილების განვითარების მასტიმულირებელ აზრობრივ ბმათა წარმომქნელ ფენომენოლოგიურ ასოციაციურ კავშირთა რელატივაციურ სამყაროდ რომაულმა იურისტებმა დაამყარეს ემპირიული ფაქტოლოგიის იდეური დიქტატურა, რომელიც შემდგეომ დოქტრინალურად განამტკიცეს ტერტულიანემ, ულპიანემ კონსტანტინე არმენოპულოსმა და სხვებმა. რომაული ცივილისტიკა ეფუძნებოდა სამ მთავარ პრინციპს: 1) სანივთო სამართლის დიაქრონული პროგრესი. 2) ვალდებულებითი სამართლის დენომინირება. 3) რომის მოქალაქეთა გენეკრატიული ზეაღმატებულობის თეორეტიკულად დასაბუთება. რომაელებმა შექმნეს პროგრესირებადი სამართლებრივი სისტემა, რომელმაც ოდესღაც ერთმანეთის მოძულე პატრიციები და პლებეები ერთ საზოგადოებად გააერთიანა. მაგრამ, სამაგიეროდ წარმოიშვა მძლავრი ფუნდამენტალური აზრობრივი ბრძოლა არისტოკრატიის ინტერესთა გამხმოვანებელ ოპტიმატებსა და „პლებსის“ უფლებათა დამცველ პოპულარებს შორის. ამ ბრძოლამ კულმინაციას მიაღწია ძვ.წ. I საუკუნეში - როდესაც, გაიუს მარიუსისა და ლუციუს კორნელიუს სულას კონფლიქტმა რესპუბლიკის რღვევას ეპოქური ნიადაგი შეუქმნა; საბოლოოდ, რომის რესპუბლიკა „გააქრო“ ოქტავიანე ავგუსტუსმა - რომის I -მა პრინცეპსმა - რეალურად იმპერატორმა, ასე დაიწყო პრინციპატის ეპოქა, რომელმაც გასტანა დიოკლეტიანეს დრომდე. რომაულ სამართალში ერთმანეთს ოსტატურად ერწყმოდა ინტელექტუალური ეგზისტენცია და გონისმიერი ნებელობა. აღნიშნულ საწყისთა კუმულაციამ შვა ე.წ. პრეტორული სამართალი, რომელიც იყოფა ორ მთავარ კატეგორიად- pretor urbanus fo pretor peregrinus. რომაულმა იურისპრუდენციამ პრეტორული სამართალი გამოიყენა ერთგავრ ინსტრუმენტად რომაულ მძლავრ პოლიეთნოგენურ საზოგადოებაში დაპყრობილ ხალხთა უსწრაფესი იურიდიული ინტეგრაციის პროცესის სწორად წარსამართად. ერთმანეთს შეუხამეს, რაციონალისტური

აზროვნება და დეციზიონისტური ფილოსოფია, რაც დაგვირგვინდა ე.წ. პანდექტურ - ფილიპიკალური იურიდიული რიტორიკული ტრაქტატების შექმნით. ჩემი აზრით, რომაელმა სამართალმა სათავე დაუდო მრავალ იურიდიულ ფორმულირებას. ერთ-ერთი უმთავრესი ფიქცირებული ცნებობრივი მოცემულობა გახლდათ ფრაზა „auctor, tas non verifas facit leger –„ ხელისუფლება და არა ჭეშმარიტება განსაზღვრავს ნორმას“. ჩემი ხედვით, ამ სამართლებრივმა პრეიუდირებულმა მოცემულობამ სათავე დაუდო კანონის უმაღლეს ფსიქოგენეტიკურ და თეორეტიკულ პოსტულატთა მომწესრიგებელ ნორმატიულ ბაზისად აღქმის რევოლუციურ თეორიას, კერძოდ, რომაელებმა დაამკვიდრეს კანონმდებლობისადმი, თუნდაც, ჩვენს ცნობიერებაში უსამართლოდ მიჩნეული კანონისადმი მორჩილება ინსტრექტუალურ ვალდებულება. რომაელებმაც დასაბამი მისცეს პოზიტივისტური სამართლისა და იურიდიული მოძღვრების - ტელეოლოგიის კორელირებული განვითარების აზრობრივ ეპოპეას. ჩემი სუბიექტური შეხედულებებით, რომაულ სამართალში გაიუს და ტიბერიუს სემპრონიუს გრაკხუსების, მარკუს ტულიუს ციცერონისა და პლატეს ოვიტარიუსის იდეებმა თანდათანობით განავითარეს იმპერიული აზროვნება რესპუბლიკური ექსპანსიონისტური საწყისებით. რომაულ სამართალში ერთმანეთს აკომპენსირებს ეპისსტემოლოგიური გამოცანა და გნოსოლოგიური აზრობრივი მოცემულობა. ზემოაღნიშნულმა სამართლებრივმა სისტემამ კიდევ ერთი გარდაქმნა განიცადა 212 წელს იმპერატორ კარაკალას ედიქტით, რომლის თანახმად რომის იმპერიაში მცხოვრები ყოველი ადამიანი რომის მოქალაქედ გამოცხადდა. რომაული სამართლებრივი დეონტური ეზოთერიკის განვითარების პროცესში დიდი ასონანსი შეიტანა 311 წელს - მულვიუსის ხიდთან გამართულმა ბრძოლამ, რომელშიც ერთმანეთს დაუპირისპირდნენ იმპერატორები - კონსტანტინე დიდი და წარმართი მაქსცენსიუსი ეს ბრძოლა ეზოთერულ კოსმოგონიურ ველთა თეოსოფიური შეტაკება გახლდათ, კერძოდ, მულვიუსის ხიდი განასახიერებს ახალ აზრობრივ განზომილებას, რომლის დასავლეთით კონსტანტინე დიდი იდგა, ანუ იქ, სადაც უნდა ჩასულიყო აღმოსავლეთიდან ამოსული სიბრძნისმიერი მზე პოლითეიზმისა, ხოლო აღმოსავლეთით იდგა წარმართი მაქსცენსიუსი, როგორც აღმოსავლეთიდან მომდინარე კოსმოგონიური ენერგიით აღსავსე მმართველი. საბოლოოდ, იმარჯვებს ქრისტე, კერძოდ, კონსტანტინე დიდი, რომელიც აღმოსავლური და დასავლური კოსმიური ენერგიების ბალანსირებადი ბუნების შეცნობის წყალობით ამარცხებს ტირანული + ოკულტიზმის მიმდევარ - მაქსცენსიუსს. რომაულმა სამართალმა ამ ეზოთერული ბრძოლის შემდგომ ტრანსფორმაცია განიცადა და გარდაისახა ქრისტიანული სულიერების აღმოსავლურ სიბრძნესთან კონდიციონალურად დამაკავშირებელ უმძლავრეს მეცნიერებად. V საუკუნეში მითრიდატე ლაზისა და პეტრე იბერის მიერ შექმნილმა ნეგატივისტურმა თეოლოგიამ VI საუკუნეში იმპერატორი იუსტინიანეს მიერ შექმნილმა კოდიფიკაციურმა კოდექსმა - corpus iuris civile - სათავე დაუდო უძველესი ეტრუსკულ-ლათინურ რომაული პოლითეისტური კულტურის იურიდიულ მიღწევათა ქრისტიანულ პრიზმაში განწმენდის გასაოცარ იდეურ პროცესს რომაული სამართალი ეყრდნობა რა დეცემვირთა ღვაწლს სათავეს უდებს დასავლურ იურიდიულ კულტურას, რომელიც შობს რენესანსს და რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს დასავლურ აგნოსტიციზმსა და აღმოსავლურ ჰიმნოსოფისტიკას. რომაული სამართლის განვითარებაში დიდი როლი შეასრულეს ბერძენმა სოფისტებმა, რომაელთა მიერ შექმნილმა სემანტიკური ანტინომიის თეორიამ რომაული კულტურა მსოფლიო ძალად დასახა. რომაულ სამართალში იურისტები ახორციელებდნენ საკითხთა ინდიქციურ სიბრტყეში განხილვის გზით დედუქციურ - აქსიომატურ სისტემათა შექმნას რაც ტრივიალური ჭეშმარიტებაა. რომაელმა იურისტმა ულპიანემ შექმნა ინტერესთა თეორია, რომლის თანახმად სამართლის ქმნის პროცესს განსაზღვრავს მხარეთა იურიდიული ინტერესების ან კემულაცია ან კოლოზია. რომაელებმა მოახერხეს საჯარო წესრიგის - „ordier public“ შექმნა, რომელიც ეყრდნობოდა რომაული საზოგადოები ეგზისტენციულურ მისწრაფებებსა და სოციალურ - პოლიტიკურ თავისებურებებს. რომაელებმა შემოიღეს უკანონო გარიგების ცნება, რომელსაც უწოდებდნენ - pactia contia bones mores“. ამ ფორმულირების მიხედვით უკანონოდ თინდაც კანონით გათვალიწინებული პროცედურებით უგულებელყოფა დადებული გარიგება ბათილი გახლდათ. თეოდორ მომზენის აზრით, რომაულ სამართალში მოქმედებდა პრინციპი - augustes milites jeptenensi nisi aquan auviteria pateceferum aun nu 11 en hebemus“, - რომლის თანახმად ავგუსტიალური მილიტარიზაცია იწვევს დროებით

შეშფოთებას, რაც გადაიზრდება გამარჯვებაზე ორიენტირებაში. ჩემი აზრით, რომაული სამართალი გახლავთ კავკასიური ეთიური იდეალების მიმდევარი უძველესი მინოსური ცივილიზაციის მიერ შექმნილი დემოკრატიული იდეების სულიერი მემკვიდრე, რომელმაც იგი შემოქმედებით ქურაში დაგვის შედეგად ახალ სულიერ ბატალიათა წარმომქმნელ აზრობრივ სამყაროდ გარდასახა. თავისუფლად შეიძლება ითქვას! რომაული სამართალი გახლავთ ევროაზიური სულიერების იმპერიული რეტროსპექტივა, რომლის რეტროაქტიურ ბუნებაში ცხადდება მსოფლიო სამართლის ინტროსპექტიული ჭეშმარიტება.

რომაულ სამართალში იურისტთა მძლავრმა ინტელექტუალურმა კოჰორტამ შექმნა უაღრესად საინტერესო და ძალიან მნიშვნელოვანი იდეების სისტემა. ზოგადად რომაული სამართლის სფეროში უდიდესი უპირატესობა ენიჭება იურიდიულ სილოგიზმსა და დეონტურ ლოგიკას. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომი შვა კოლხამ, ანუ ეთერუქმა, იგივე ეტრუსკულმა სამყარომ, ხოლო, რომა შუა თანამედროვე ევროპული იურიდიული კულტურა, რომელიც დღმდე ეყრდნობა რომაული სამართლისა და პელასგური ფილოსოფიის იდეურ მიღწევებს რომი კოლხურად იშიფრება როგორც „რა-მა“ - ე.ი. რას, ანუ მზის ღმერთისგან მომდინარე კოსმიური ენერგიის ინდივიდუალიზება, რომელიც გადაიზრდება ხშირად ეზოთერულ სტიქიურ მისტერიებში. ზოგადად რომაული სამართლებრივი კულტურა შეიქმნა კოლხური კოსმოგონიის, ელინური ფილოსოფიის, ეტრუსკული მითოსის, ეგვიპტური სიბრძნის, იბერიული ალუზიისა და ქალდეური მისტიციზმის კომბინირების ისტორიულ ცვალებადობას დაქვემდებარებული ზეეპოქალური პროცესის განსრულების შედეგად.

საბოლოო ჯამში თავისუფლად შეიძლება ითქვას! რომაული სამართალი გახლავთ ფენომენოლოგიური იურიდიული შეხედულებების სამყარო, რომელშიც თუ ქმნი ახალს, ე.ი. ანგრევ ძველს, თუ არადგენ ძველს, ე.ი. ახლის უმართლობას ამტკიცებ! ჩემი აზრით, რომაული სამართალი გახლავთ აზრობრივი პერპენტუმმობილე, რომელიც პოსტგლოსატორთა საქმიანობის შედეგად პურიფიცირებულ წმინდა იურიდიულ ხილვათა დოგმატიკურ წყაროდ იქცა თანამედროვე მსოფლიოსთვის.